

DWDM სისტემის ძირითადი პარამეტრები

კახა ხოშტარია, იური მოდებაძე, ლევან გახელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაჩვენებია პრობლემები, რომლებიც თან ახლავს DWDM ტექნოლოგიაზე დაფუძნებული OTN-OTH სატრანსპორტო ქსელების დანერგვას, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ოპტიკური ბოჭკოს მაქსიმალურად უფექტური გამოყენება. განხილულია DWDM სისტემების ძირითადი პარამეტრები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია აღნიშნული ქსელების დაპროექტებისას.

საკუნძო სიტყვები: DWDM-სისტემები. DWDM-პარამეტრები. სატრანსპორტო ქსელები. EDFA მაძლიერებელი. OSNR. BER.

1. შესავალი

თანამედროვე ტელეკომუნიკაცია წარმოუდგენელია ოპტიკური ქსელებისა და სისტემების გარეშე. სწორედ მათ განაპირობეს უზარმაზარი ტევადობის ციფრული ნაკადების გადაცემის შესაძლებლობა.

ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნა სხვადასხვა ტიპის მომსახურებაზე, როგორც ტრადიციული, ასევე ინტერნეტ მომსახურების ჩათვლით, რაც ახალ მოთხოვნებს უყენებს კავშირის თანამედროვე ქსელებსა და მომსახურების ხარისხს. ამასთანავე, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების სრულყოფა და თანამედროვე ქსელების განვითარება იწვევს ქსელების აგების პროცესის გართულებას, დიდ კაპიტალურ დანახარჯებს მათ შექმნასა და ექსპლუატაციაზე.

ITU-T-ს რეკომენდაციებით გათვალისწინებულია ოთხი სატრანსპორტო მოდელი: SDH, ATM, Ethernet და OTM-OTN სატრანსპორტო ქსელები. აქედან ყველაზე უნივერსალურია OTN ქსელი, რომელიც DWDM ტექნოლოგიის გამოყენების ბაზაზე იძლევა ოპტიკური ბოჭკოს მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობას, რამაც საშუალება მოგვცა გადაასაცემი ციფრული ნაკადების ტევადობის ნახტომისებური ზრდის. ეს ტექნოლოგია დაფუძნებულია ტალღის სგრძის მიხედვით მულტიპლექსირების მეთოდზე. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა ოპტიკური ბოჭკოს რაციონალური გამოყენება, რომელმაც მიგვიყვანა ერთი ბოჭკოთი ასეულობით დიდი ტევადობის არხების გადაცემაზე.

აშკარაა აღნიშნული მეთოდის უპირატესობა TDM მულტიპლექსირებასთან შედარებით, სადაც შესასვლელი სტანდარტული დაბალსიხშირული არხები სინქრონულად მულტიპლექსირდება გადაცემის ერთიან მაღალსიჩქარიან არხში. ამ მეთოდით კავშირის არხის გამტარუნარიანობის გაზარდა შესაძლებელია ფორმირებული არხის ბიტური სიჩქარის გაზრდით, რაც აძვირებს აპარატურას და ართულებს გადაცემის პროტოკოლებს. ამისგან განსხვავებით DWDM საშუალებას იძლევა, ხაზის გამტარუნარიანობა გაიზარდოს ისე, რომ არ შეიცვალოს არსებული ელექტრონული მოწყობილობები. ხაზში ახალი არხის დამატება ხდება ახალი ტალღის სიგრძის გამოყენების საშუალებით, არსებულ არხებთან შეუხებლად. არხების ერთმანეთთან სინქრონიზაცია არ არის აუცილებელი და თითოეულ არხში გადაცემა ხდება დამოუკიდებელი პროტოკოლის საშუალებით. მაგრამ, DWDM სისტემებში მუშაობის უნარის შესაბამისი დონის შენარჩუნება გაცილებით როგორია მის წინამორბედ სისტემებთან შედარებით. მათგან განსხვავებით DWDM სისტემაში ყველა პარამეტრი, რომელიც მოქმედებს მთლიან სისტემაზე, უნდა გაიზომოს და შეფასდეს თითოეულ ტალღის სიგრძისათვის. ამიტომ, საკითხები ქსელის დაგეგმვის მეთოდების დამუშავებისა და მისი ეფექტურობის გაზრდის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემები ინერგება ყველგან, მათ შორის საქართველოშიც. მათი სრულყოფილი დაგეგმარება და ექსპლოატაცია მოითხოვს ოპტიკური ფიზიკისა და სატრანსპორტო სისტემების და ქსელების ავების პრინციპების საფუძვლიან ცოდნას. ეს საკითხები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან მას სატელეკომუნიკაციო თვალსაზრისით, გააჩნია სატრანზიტო ფუნქცია, როგორც ევროპა-აზიის შემართებელ ქვეყანას შავი ზღვის რეგიონში, სადაც იქმნება ახალი მაგისტრალები საქმაოდ დიდი ტევადობის ინფორმაციული ნაკადების გადასაცემად. ამასთანავე, ის არ აწარმოებს თანამედროვე აპარატურას და ქსელების ავებისას იყენებს საზღვარგარეთიდან შემოტანილ ტექნოლოგიებს, რაც კიდევ უფრო ზრდის სწორად დაგეგმარებისა და ქსელების შემდგომი განვითარების როლს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე

DWDM სისტემების გამოჩენისთანავე თავი იჩინა სერიოზულმა პრობლემამ, კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობამ, რაც დღესაც პრობლემად რჩება, განსაკუთრებით ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიცაა საქართველო. ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ინერგება უახლესი ტექნოლოგიები, მომსახურე პერსონალი კი არაა სათანადო დონეზე მომზადებული. აუცილებელია ამას მიეკუს უურადღება. საჭიროა, რომ ტელეკომუნიკაციის სპეციალობის სტუდენტებმა და ამ დარგში მომუშავე პერსონალმა სპეციალობის ნორმალურად ასათვისებლად იცოდეს უცხო ენა (ინგლისური, რუსული), რადგან მკითხველის სწრაფად უზრუნველყოფა ქართულ ენაზე გამოშვებული ლიტერატურით რთულია. თუმცა ამ მიმართულებით იდგმება ნაბიჯები, მაგრამ მნელია ფეხი აუწყო დარგის განვითარების ტემპს. .

მოცემული სტატიის მიზანია, სხვადასხვა უცხოური ტექნიკური ლიტერატურის (სტატიების, წიგნების) მიმოხილვის საფუძველზე, იმ პრობლემების წარმოჩენა, რომელიც გასათვალისწინებულია OTN-DWDM ოპტიკური სატრანსპორტო ქსელებისა და სისტემების განხორციელებისას. სტატიის შეზღუდული მოცულობის გამო ვცდილობთ ფურადღება გავამახვილოთ მხოლოდ უძირითადეს საკანძო საკითხებზე.

2. ძირითადი ნაწილი

DWDM სისტემის შემადგენელი ცალკეული კომპონენტების მახასიათებლებით განისაზღვრება შემდეგი პარამეტრები:

1. გადაცემის სიჩქარე.

სისტემის გადაცემის სიჩქარე (ტევადობა) განისაზღვრება ფორმულით

$$C_{\text{სისტ.}} = N_{\text{არხ.}} \cdot C_{\text{არხ.}}$$

სადაც $N_{\text{არხ.}}$ არის არხების რაოდენობა, ხოლო $C_{\text{არხ.}}$ ერთი არხის სიჩქარე.

სიხშირული ინტერვალი არხებს შორის განისაზღვრება IIIU-T-ს რეკომენდაცია G.692-ის მიხედვით. ძირითადად არსებობს ორი სიხშირული გეგმა:

a. 100 გჰც ($\Delta\lambda \approx 0,8$ ნმ); 40 ტალღა 1528,77(19,6,1 ტჰც)-დან 1560, 61 ნმ (19,2,1 ტჰც)-ის ჩათვლით.

b. 50 გჰც ($\Delta\lambda \approx 0,4$ ნმ), 80 ტალღის სიგრძე.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ სიხშირული გეგმა High-Dense WDM, HDWDM, 25 გჰც ($\Delta\lambda \approx 0,2$ ნმ); ბევრად უფრო მკაცრი მოთხოვნებით.

2. ლაზერული გადაცემის სიმძლავრე და სტაბილობა.

ცხადია, სასურველია ეს პარამეტრები იყოს მაღალი, ამასთანავე, სიგნალის სიმძლავრე არ უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ გაჩნდეს არაწრფივი მოვლენების ნეგატიური გავლენა ბოჭკოში.

3. ლაზერული გამოსხივების წყაროს მოღულაციის სიჩქარე.

4. EDFA მაძლიერებლის გაძლიერების კოეფიციენტი.

მუშა დიაპაზონში სუსტი სიგნალებისათვის, იგი უნდა იყოს მაქსიმალურად დიდი და სტაბილური.

5. ოპტიკური ბოჭკოს მახასიათებლები.

ბოჭკოს ტიპი და მახასიათებლები დიდ გავლენას ახდენს ისეთ პარამეტრებზე, როგორიცაა გადაცემის სიჩქარე, დისპერსია, არხების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა. ამ ძირითადი პარამეტრების გარდა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სხვა ფაქტორებიც:

I. შეცდომების კოეფიციენტი.

კავშირის ხაზისადმი წაყენებული მოთხოვნები განისაზღვრება შეცდომების კოეფიციენტით BER (Bit Error Rate), რომელიც შეიძლება იცვლებოდეს საქმაოდ ფართო დიაპაზონში ($10^{-6} - 10^{-12}$), იმისდამიხდებით, თუ რა სახის სიგნალი გადაიცემა. აუცილებელია, რომ DWDM სისტემას ჰქონდეს BER-ის დაბალი მნიშვნელობა ყოველი ცალკეული არხისათვის. იმისათვის, რომ პროექტირების ეტაპზე განისაზღვროს რამდენად შეესაბამება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზი ქსელური გამოყენების (application) მოთხოვნებს, შეიძლება განვიხილოთ კავშირის ხაზი “P to P,, წყაროსა და მომხმარებელს შორის.

ამ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს მიმღების მგრძნობიარობა, რომელიც გვიჩვენებს რა მინიმალური სიმძლავრე უზრუნველყოფს BER-ის მოთხოვნილ მნიშვნელობას. ამისათვის საჭიროა კავშირის ხაზის ბიუჯეტის (ყველა კომპონენტში კარგების ჯამი) ცოდნა გადამცემიდან მიმღებამდე. აუცილებელია, რომ მიმღებში მიღებული სიგნალის დონე აღემატებოდეს მინიმალურად დასაშვებ მნიშვნელობას, რომელიც საჭიროა BER-ის მოთხოვნილი მნიშვნელობის უზრუნველსაყოფად. სხვაობას მათ შორის უძახიან კავშირის ხაზის მარაგს და ის არ უნდა იყოს 10 დბ-ზე ნაკლები.

შეცდომების კოეფიციენტზე დიდ გავლენას ახდენს სიგნალის სიმძლავრის კარგვების სიდიდე, რომელიც დამოკიდებულია სისტემის ელემენტზე და მანძილზე გადამცემიდან მოცემულ ელემენტამდე. ხაზის მიმართულების განსაზღვრისას, მთა-ვარია შეფასდეს კარგვის სიდიდე.

ოპტიკური სხივის შეცვანისას ოპტიკური კომპონენტში სიმძლავრის ძირითადი ნაწილი გადაიცემა ფიზიკური არხით, რაღაც ნაწილი შთანთქმება, ნაწილი კი აირეგვლება. სიგნალის არეგვლილი ნაწილის სიმძლავრე მნიშვნელოვნად მოქმედებს კარგვების სიდიდეზე.

არეგვლის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს: რელეის გაბნევა და ფრენელის არეგვლა.

რელეის გაბნევა ჩნდება ბოჭკოს შიგნით გადასაცემი სინათლის ტალღის ბოჭკოს მასალასთან ურთიერთქმედების გამო. ამიტომ ის დამოკიდებულია ბოჭკოს მასალის შემადგენლობაზე და აგრეთვე ტალღის სიგრძეზე. გაბნევის ამპლიტუდა დაახლოებით არის -75 დბ 1550 ნმ ტალღის ბოჭკოს 1 მეტრზე და დიდ მანძილზე მისი გავლენა შეიძლება იყოს მნიშვნელოვნი. ფრენელის არეგვლას ადგილი აქვს სხვადასხვა გარემოს გამყოფ საზღვარზე (შემარტობელი, გამთიშველები და სხვა), ჰაურის ღრებოების, გარდატეხვის მაჩვენებლების შეუთანხმებლობის გამო გამყოფი საზღვარის ორივე მხარეს და სხვა.

არეგვლილი ოპტიკური სიგნალი არასასურველია და იწვევს მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს: ზრდის სიმძლავრის საერთო კარგვებს; მნიშვნელოვნად აუარესებს გადამცემი ლაზრის სტაბილურობას და საგნალ/ხელშემლის ფარდობას; უკან არეგვლილი სინათლის სიგნალი შეიძლება განმეორებით აირეგვლოს პირდაპირი მიმართულებით, არეგვლილი და დაყოვნებული კობიები გავრცელებისას იწვევენ სირთულეებს დემოდულაციის ეტაპზე, რომელსაც უწოდებენ მრავალსხივიან ინტერფერციას MPI (Multi-Path Interference); არეგვლა, რომელსაც ადგილი

აქვს EDFA მაძლიერებლში მივყავართ დამატებით მრავალსხივიან ინტერფერენციამდე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მაძლიერებლის ხმაურს.

არეკვლილი სიგნალის სიმძლავრე განისაზღვრება არეკვლის კოეფიციენტის სიდი-დით. იგი განისაზღვრება ფორმულით:

$$ORL(\text{Optikal Return Loss})=10\lg(P_{in}/P_{ref}),$$

სადაც P_{in} – დაცემული სხივის სიმძლავრეა, P_{ref} – არეკვლილი სხივის.

არეკვლის კოეფიციენტი:

$$K=10\lg(P_{ref}/P_{in}).$$

რაც უფრო მცირეა არეკვლის კოეფიციენტი, მით უკეთესია კომპონენტის მახასიათებლები. შეცდომების კოეფიციენტი BER დამოკიდებულია WDM (DWDM) სისტემის ასევე ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლზე, OSNR (Optikal-Signal-to-Noise Ratio)-ზე, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად აღემატება მიღებული სიგნალი ხმაურის ფონს თითოეული არხისათვის. რაც უფრო დიდია OSNR, მით უფრო ადვილია სიგნალის მიღებული ბიტების იდენტიფიცირება ხმაურის ფონზე. შენონის ცნობილი თეორემის თანახმად ნებისმიერი მოცემული სიგნალ/ხმაურის OSNR ფარდობისათვის შეიძლება მიღწეული იქნას რაც შეიძლება დაბალი სიდიდის შეცდომების კოეფიციენტი BER, თუ გამოვიყენებთ ნებისმიერი უმცირესი სიჭარბის ხელშეშლამდგრად კოდირებას. მაგრამ პრაქტიკაში, რაც უფრო მცირეა OSNR, მით უფრო რთული სქემაა საჭირო, რომ მივიღოთ BER-ის მოთხოვნილი მნიშვნელობა. ამდენად DWDM სისტემებში საჭიროა ხმაურის დაბალი დონისა და შესაბამისად OSNR-ის მაღალი მნიშვნელობის უზრუნველყოფა.

ქსელის (მაგისტრალის) პირველი მულტიპლექსერის გამოსასვლელზე OSNR არ უნდა იყოს დაახლოებით 40 დბ-მდე თითოეული არხისათვის. კავშირის ხაზში OSNR მცირდება ხაზის სიგრძეზე, EDFA მაძლიერებლის რაოდენობასა და გადაცემის სიჩქარეზე დამოკიდებულებით. მიმღების შესასვლელზე OSNR-ის მნიშვნელობა არ უნდა ჩამოვიდეს 20 დბ-ზე დაბლა.

ოპტიკური EDFA მაძლიერებლების შექმნამ უდიდესი როლი ითამაშა DWDM სისტემის განხორციელებაში. შესაძლო გახდა პრაქტიკულად სრულად ოპტიკური მა-გისტრალებისა და ქსელების შექმნა. ამასთან, რადგან ეს უკანასკნელი არ ახორ-ციელებს რეგენერაციას, აღადგენს მხოლოდ სიგნალის ამპლიტუდას, ხაზში სიგნალის გავლისას გროვდება ხმაურები, რომლებიც ძირითადად წარმოქმნება ოპტიკურ მაძლიერებელში გაძლიერებული სპონტანური ემისიით ASE (Amplified Spontaneous Emission), რომელიც აუარესებს სიგნალ/ხელშეშლის ფარდობას ყველა ოპტიკურ ხაზში.

იქ სადაც ასეთი მაძლიერებელი გამოიყენება დიდი რაოდენობით, საჭიროა გაძლიერების კოეფიციენტის ტალღის სიგრძეზე დამოკიდებულების გათვალისწინება, რადგან ის ახდენს გავლენას სისტემაში სიგნალის სპექტრის განაწილების ხასიათზე. სისტემის გაძლიერების კოეფიციენტი შეიძლება შეიცვალოს ტემპერატურის ცვლილების, ბოჭკოს ფიზიკური დაბაბვის, კომპონენტების დეგრადაციისა და კავშირის ქსელის კონფიგურაციის შეცვლის გამო.

OSNR დბ-ში უნდა გაიზომოს DWDM-ის თითოეულ არხში:

$$OSNR=\min_i[10\lg(P_i/N_i+10\lg(B_m/B_i)]$$

სადაც – P_i – ოპტიკური სიგნალის სიმძლავრეა i-ურ არხში, B_r – საბაზისო ოპტიკური ზოლის სიგანე (სიხშირისა ან ტალღის სიგრძის მიხედვით), რომელიც ზოგადად 0,1 ნმ-ია, N_i – ხმაურის სიმძლავრის ინტერპოლირებული მნიშვნელობაა ხმაურის B_m ექვივალენტურ ზოლში, სიხშირის ან ტალღის სიგრძის მიხედვით თითოეული i-ური არხისათვის:

$$N_i=[N(\lambda_i-\Delta\lambda_i)+N(\lambda_i+\Delta\lambda_i)]/2,$$

სადაც $\Delta\lambda$ – ინტერპოლაციური წანაცვლებაა ტალღის სიგრძის მიხედვით, რომელიც ტოლია ან ნაკლები არხებს შორის ინტერვალის ნახევრის.

OSNR არის სიგნალის ხარისხის საზომი (კრიტერიუმი) და წარმოადგენს კავშირის ხაზის უმთავრეს პარამეტრს. ოპტიკურ ქსელში მაძლიერებლებით თითოეული არხის გაძლიერების კოეფიცი-ენტი დამოკიდებულია არხების რაოდენობაზე, რომელიც გადის მაძლიერებლებში. სისტემის მუშა ძლიერი არეალის გამოტანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გაიზომება როგორც მთლიანი სიმძლავრე სიგნალის, ასევე სიმძლავრეები ცალკეულ არხებში. დასკვნისათვის საჭიროა გვქონდეს სრული სპექტრული ინფორმაცია სიგნალის შესახებ.

II. არხების გატარების ზოლი.


მულტიპლექსერის/დემულტიპლექსერის ეფექტურობა განისაზღვრება მისი თვისებით მოახდინოს ერთმანეთისგან შემავალი და გამავალი არხების სელექცია. თითოეული არხის გატარების ზოლი ხასიათდება შემდეგი პარამეტრებით:

1. არხის ცენტრალური ტალღის სიგრძე.

იგი არის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა წაკვეთის ზედა და ქვედა ტალღის სიგრძეების:

$$(\lambda_{upper} + \lambda_{lower})/2.$$

1-ელ ნახაზზე ნაჩვენებია ორი სპექტრის შედარება, რომელიც ასახავს მცირე ცვლილებების გავლენას არხის ტალღის ცენტრალური სიგრძის მდებარეობაზე. ცდილობენ გადამცემის ნომინალური ტალღის სიგრძე ახლოს იყოს ტალღის ცენტრალურ სიგრძესთან.



ნახ. 1

2. არხებს შორის ინტერვალი.

ის შეესაბამება WDM-ის სიხშირულ გეგმას. ყველაზე გავრცელებულია ITU-T-ს თანაბარი სიხშირული გეგმა, არხებს შორის 100 გჰც-იანი ინტერვალით.

არათანაბარ ინტერვალებს იყენებენ ძირითადად იმისთვის, რომ მოხდეს მინიმი-ზაცია ან აღმოიფხვრას არაწრფივი ოთხტალღიანი შერევა FWM, რომლის დროსაც ბოჭკოში გამოსხივების არაწრფივი ურთიერთქმედების გამო ორ ან მეტ სიხშირეზე აღიძვრებიან სიგნალები ახალი სიხშირით. თანაბარი ინტერვალების არხებს შორის ახალი პარაზიტული სიგნალი შეიძლება სიხშირით დაემთხვეს სხვა არხების სიგნალებს, რაც გამოიწვევს ჯვარედინ ხელშეშლებს. არათანაბარი ინტერვალებისას ოთხტალღიანი შერევა იწვევს დამატებით ხმაურებს ტალღის სიგრძეებზე, რომლებიც არაა გამოყენებული სასარგებლო სიგნალის გადასაცემად.

3. გატარების ზოლი.

იგი განისაზღვრება -3 დბ-ზე (სხვა ზღვრბლურ დონეებზე, ჩვეულებრივად – -0,5 დბ, -20 დბ და უფრო ქვემო) და არის გადასაცემი სიგნალის ის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც ყველა სპექტრული მდგრენი აღემატება განსაზღვრულ ზღურბლის დონეს. მაგალითად ეს ზღურბლი შეიძლება იყოს – 3 დბ მაქსიმუმიდან ან სიგანე სიმაღლის ნახევარზე FWHM (Full Width at Half Maximum). აზრი არ აქვს გატარების ზოლის სიგანალზე ლაპარაკს, თუ არაა მითითებული ზღურბლის დონე. გატარების ზოლი განსაზღვრავს სპექტრის იმ დიაპაზონს, რომელშიც მოწყობილობა შეიძლება იყოს გამოყენებული ეფექტურად.

გატარების ზოლის განსაზღვრა ორი ან მეტი ზღურბლური დონეებისათვის შესაძლებლობას გვაძლევს ვაჩვენოთ მისი ფორმა საზღვარზე, რომელიც დამოკიდებულია გამოყენებული ფილტრის რიგზე. გატარების ზოლის სიგანის მნიშვნელობები ძალზე დიდ მიღევაზე (-20 დბ ან -30 დბ) სასარგებლოა DWDM-ში მეზობელ არხებში ჯვარედინი ხელშეშლების დონეების პროგნოზირებისათვის. გატარების ზოლის სიგანის კონკრეტული მნიშვნელობა დამოკიდებულია მეზობელი არხების იზოლირების ხარისხზე, რომელიც აუცილებელია ცალკეული ქსელური გამოყენებისათვის (ტრაფიკის სახეობისათვის).

4. იზოლირება და შორეული ჯვარედინი ხელშეშლები FEXJ (F_{ar}-F_{nd} Crosstalk).

ზოგადად არხების ერთმანეთთან და შორეული ჯვარედინი ხელშეშლებისგან იზოლირება განსაზღვრავს მოცემული არხის სიგნალის შესუსტების დონეს სხვა არხებში, სადაც ეს სიგნალი არ არის ძირითადი სიგნალი. იგი განისაზღვრება ფორმულით

$$\text{Isolation} = \min 10 \lg [P_{\text{ini}}(\lambda_i)/P_{\text{ontj}}(\lambda_i)],$$

სადაც $P_{\text{ini}}(\lambda_i)$ არის i არხის შესასვლელი სიგნალის სიმძლავრე λ_i ტალღის სიგრძეზე, $P_{\text{ontj}}(\lambda_i)$ კი i არხის სიგნალის სიმძლავრე λ_i ტალღის სიგრძეზე j არხში.

ჯვარედინი ხელშეშლები განსაზღვრავენ რამდენად აღემატება ძირითადი არხის შესასვლელი სიგნალის სიმძლავრის დონე λ_i ტალღის სიგრძეზე ჯამური სიგნალის სიმძლავრეს, რომელიც მოხვდა არაძირითად არხებში:

$$\text{Crosstalk} = 10 \lg [P_{\text{inj}}(\lambda_i)/\sum_{j \neq i} P_{\text{ontj}}(\lambda_i)].$$

5. სიმძლავრის პიკის არათანაბრობა არხის სპექტრში.

იგი არის სიმძლავრის ცვლილებები გატარების ზოლის მაქსიმუმების მიღამოებში.

6. არხების ერთგვაროვნება.

ის წარმოადგენს გადასაცემი სიმძლავრის დონის ცვლილების ზომას ან შეტანილ კარგვებს არხიდან არხში მუღლტიპლექსირება/დემუღლტიპლექსირებისას.

7. პოლარიზების მოვლენები.

იგი არის კარგვები, რომელიც დაკავშირებული პოლარიზაციის პროცესზე PDL (Polarization Dependant Loss) და პოლარიზაციის მოდურ დისპერსიაზე (Polarization Mode Dispersion), რომელიც აღიძვრება გამოსხივების ორი ურთიერთბერძნდიკულარული შემადგენლის სხვადასხვა სიჩქარით გავრცელების გამო.

8. შეტანილი კარგვები IL (Insertion loss) სისტემის რომელიმე კომპონენტის გამო.

იგი განისაზღვრება:

$$IL = 10 \lg (P_{\text{in}}/P_{\text{out}}).$$

9. მიმართულება (Directivity) ანუ ჯვარედინი ხელშეშლები ახლო ბოლოზე NECT (Near-End Cross Talk).

იგი არის მრავალპორტიანი მოწყობილობის იზოლირების საზომი და არის მუღლტიპლექსირების მნიშვნელოვანი მახასიათებელი

$$DIRECHIVITY_j = \min 10 \lg [P_{ini}(\lambda_i) / P_{outj}(\lambda_i)].$$

ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრების გარდა, აუცილებელია ოპტიკური ბოჭკოში მიმდინარე მოვლენების შესწავლაგანხილვა, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ ოთხი ძირითადი მოვლენა, რომელიც აუარესებს WDM სისტემის მახასიათებლებს: ქრომატული დისპერსია, პოლარიზაციული მოდური დისპერსია და არაწრფივი ოპტიკური ეფექტი.

3. დასკვნა

როგორც ზემოთ მოყვანილი განხილვიდან ჩანს, ოპტიკური სატრანსპორტო ქსელების განვითარების დღევანდვლ ეტაპზე აშკარა უპირატესობა აქვს OTN-OTH სატრანსპორტო ქსელს, რომელიც DWDM ტექნოლოგიის ბაზაზე უზრუნველყოფს ოპტიკური ბოჭკოს შესაძლებლობის ბევრად უფრო ეფექტურად გამოყენებას სხვა ტექნოლო-გიგანტთან შედარებით.

ამასთანავე, DWDM სისტემების განხორციელებისას უფრო მყაცრი მოთხოვნები წაეყენება სატრანსპორტო სისტემის (ქსელის) როგორც ცალკეული კომპონენტების პარამეტრებს, ოპტიკური ბოჭკოს ჩათვლით, ასევე მთლიანი სისტემის პარამეტრებს, რომელთა ძირითადი ნაწილი არის განხილული მოცემულ სტატიაში. აღნიშნული პარამეტრების სრულყოფილად გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია DWDM ტექნოლოგიის დაფუძნებული ქსელის (მაგისტრალის) სწორად დაპროექტება და საიმედო ექსპლუატაცია.

ლიტერატურა:

1. ხოშტარია კ., მოდებაძე ი., კახელი ლ. ოპტიკური სატრანსპორტო ქსელის აგების ზოგიერთი ასპექტები. სტუ-ს შრ. მას №1.(10). თბ., 2011
2. ITU-T R.G.709/Y.1331(2003), Interfaces for the optiecel transport netvork (OTN).
3. Андре Жерар. Руководство по технологии и тестировании систем WDM – М.: EXFB, 2001. Пер. с анг. под ред. А.В. Шмалько и др.
4. Бродниковский А.М. Методы и средства измерения хроматической дисперсии. Lightwave russian edition №1, 2003.
5. Курков А.С., Наний О.Е. Эрбийевые волоконно-оптические усилители. Lightwave russian edition №1, 2003.

THE MAIN PARAMETERS OF DWDM SYSTEMS

Xoshtaria Kaxa, Modebadze Iuri, Kaxeli Levan

Georgian Technical University

Summary

The article represents problems arising during implementation Transport Network OTN-OTH, based on DWDM technology, through which it became possible the best use of optical fiber. The basic parameters of DWDM systems, which should be considered in the design of such networks, are discussed in the paper as well.

ОСНОВНЫЕ ПАРАМЕТРЫ DWDM СИСТЕМ

Хоштариа К., Модебадзе Ю., Кахели Л.
Грузинский технический университет

Резюме

Показаны проблемы, сопровождающие внедрению транспортных сетей OTN-OTH, основанных на технологии DWDM, с помощью которой стало возможным максимально эффективное использование оптического волокна. Рассмотрены основные параметры DWDM систем, которые следует учесть при проектировании таких сетей.